



№ 48 (6609)

11 1980 წ. მარტი, სამუშაოთი. შანი 3 კვ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 13 აპრილიდან



GENS UNA SUMUS

გენერალური პირველთა პრეზიდენტი მათემატიკის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი



ფეხბურთი

სსრ კავშირის ტახტი

მატჩი თბილისელთა შეტევებით დაიწყო და უკვე მე-3 წუთზე ოდესღეს კარში პირველი გოლი გავიდა (მისი ავტორი მინაშვილი იყო).

მეორე ტაიმის დაწყებიდან სულ 6 წუთი იყო გასული, როცა ოდესღეს მეტელოსა და მეკარის შეუთხზნებელი მოქმედებით კარგად ისარგებლა ჩელბაძემ — 2:0.

61-ე წუთზე დინამოელებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს. მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა გუგუნი და ზუსტი დარტყმით ანგარიში 3:0-მდე გაზარდა. შემდეგ მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

თბილისის „დინამო“ 5 თამაშ.

ში 10 ქულა მოაგროვა, პირველი ადგილი დაიკავა და 16 მარტს თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩში სიმფეროპოლში შეხვედბა ადგილობრივ „ტავრიას“.

დინამოელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: გაბელია, სულაქველიძე (კოსტავა), ჩივაძე, ხინჩაგავილი, ქილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალიაშვილი (ქორიძე), გუცავეი, მინაშვილი (გ. მაჩაიძე), ჩელბაძე.

ბ. ირმაძე.

სურათზე: სახიფათო მომენტი არმეილთა კართან.

ქ. შანიძის ფოტო.

„გორკელ“

(ქუთაისი) — ასკ (საბაროვსკი) 3:0 (1:0)

მს მატჩი ქუთაისის ტორბედოელებმა ჩაატარეს მთელი მონდომებით, კოლექტიურად და დიდი ანგარიშითა და მიღწევს გამარჯვებას.

საბაროვსკელებმა მეტოქეს ლირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს მხოლოდ პირველ ნახევარში, როცა ტორბედოელთა ერთ-ერთი იერიში ზუსტი დარტყმით დაამთავრა გორგოძემ.

შესვენების შემდეგ, 52-ე წუთზე, არმეილთა მეკარემ ხელიდან გაუშვა გორგოძის მიერ დარტყმული ბურთი. მას დროზე მოუსწრო მხატვარმა და ბედები გაზავდა — 2:0.

მატჩის დასასრულს რამდენიმე წუთი აკლდა, როცა ქუთაისელთა მორიგი იერიში შესაძენ გოლით დაამთავრა ბურკაძემ.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის „ტორბედოს“ კარში დაინშნა პენალტი, რომელიც საბაროვსკელმა რიუტინმა ძელს მოახვედრა.

ქუთაისელებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: მჭედლიძე (კვასცაძე), შუგავეი, გოგოლაძე, გვაძანია, მერეჩო (ცხობილაძე), გორგოძე, ბურკაძე, ქვირია, ზ. სევანძე, შელია, მხატვარი.

რ. გაბრიძე.

(ჩვენი კორ.).


ბ რ კ მ ლ ა მ ნ ი ზ ი ა შ ი ზ ი ს ა თ ზ ი ს

პირბას თბილისში, ქალაქის სასახლეში გაიმართა 5. გაფრინდაშვილი — 5. გურიელის მატჩის მეოთხე პარტია. იგი ახალგაზრდა პრეტენდენტმა მოიგო. თრიაბრძოლის ანგარიშია 2,5:1,5 მსოფლიოს ექს-ჩემპიონის სასარგებლოდ.

აი, ეს პარტია: 5. გურიელი — 5. გაფრინდაშვილი

- რაგოზინის დაცვა 1. d4 d5 2. c4 e6 3. მც3 მფ6 4. მფ3 ხბ4 5. ა3 კ:ც3+ 6. bc dc 7. ლა4+ მც6 8. ჯგ5 ლდ5 9. კ:ფ6 გფ10. გ3 კ:დ7 11. ლც2 ფ5 12. ჯგ2 მა5 13. 0-0 კ:ბ6 14. მზ4 ლდ7 15. კ:ც6 ლ:ც6 16. d5 ლ:დ5 17. ეად1 ლე4 18. ლდ2 მც6 19. ლდ7+ მფ8 20. მფ3 ხ6 21. ლ:ც7 მფგ7 22. ედ7 ეფ8 23. ლ:ხ7 ეაბ8 24. ლ:ც7 ხბ1 25. ე:ბ1 ლ:ბ1+ 26. მფგ2 ლე4 27. ედ6 მზ8 28. ლ:ა7 ეც8 29. ეხ6 მც6 30. ლ:ბ7. შაგები დანებდნენ.

გურიელი აქტიური სტილის მოჭადრაკეა, თითქოს უწყინარ ვ. რაგოზინის დაცვაში მან მე-8 სვლაზე მწვევე გაგრძელება აირჩია, რითაც უარი თქვა ადრე შეწირული პაიკის უკან დაბრუნებაზე. პოზიცია მისივე დაიმუხტა.



5. გაფრინდაშვილი

ეს მდგომარეობა შეიქმნა თხუთმეტი სვლის შემდეგ. აქ გურიელმა გაბედულად შესწირა პაიკი — 16. d5. პრეს-ცენტრში ეფექტობდით, რომ შეწირვა ნაჩქარევი იყო. რადგან მკაფიოდ არ ჩანდა თეთრების ინიციატივის განვითარების გზები. ვამჯობინებდით ვერ 16. ეად1, რადგან არ შეიძლებოდა მოეშუბა დებლად 16... 0-0, 17. მ:ფ5!-ი გამო. მხედრის აყვანას მოჰყვებოდა 18. ლ:ფ5+ და 19. ლ:

ა5 ორივე შეწირული პაიკის უკან დაბრუნებით.

კრიტიკულ სიტუაციაში გაფრინდაშვილს შეეძლო უფრო სამელო გაგრძელებას აირჩევა — 17. ...ლ:დ5. მართალია, ცენტრში მისი ლაზიერი ძლიერი ჩანდა, მაგრამ საკუთარ გვირგვინოსანს ნაკლებად დაეხმარა.

გურიელი ლაზიერით და ეტლით შეიჭრა შაგები განლაგებაში და ორივე პაიკი უკან დაიბრუნა. საჭირო იყო ზუსტი დაცვა, ამ დროს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მძიმე ცაიტნოტში იყო (დარჩენილი ჰქონდა 2 წუთი 15 სვლაზე). დილოსტატ ბ. გურგენიის აზრით, 26. ...ლ:ხ6 მას წარმატებით დაცვის შანსს აძლევდა, ვაკეთებულ სვლას კი დაუყოვნებლივ დიდი მატერიალური ზარალი მოჰყვა.

თ. გორგაძე.

გაზინ

გაფრინდაშვილი — გურიელის მატჩში უნდა გათამაშებულიყო მეხუთე პარტია, მაგრამ იგი არ შედგა, რადგან გურიელმა „წუთშესვენება“ აიღო.

ცისლოვოდსკში ახმლოვკაია — ალექსანდრის მატჩში მეხუთე პარტია გათამაშდა. იგი კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ ალექსანდრის „წუთშესვენება“ გამოიყენა. პარტია დაუმთავრებელი დარჩა. უპირატესობა ქართველ დიდოსტატს აქვს.



სურათზე: გაფრინდაშვილი — გურიელის მატჩის მსახები: მარჯვნივ — მთავარი მსახი, საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი ლ. აბრამოვი (მოსკოვი) და მისი მოადგილე, საერთაშორისო არბიტრი, დიდოსტატი კირა ზვორიკინა (მინსკი).

ა. კოტორაშვილის ფოტო.

„ქაირათი“

(ალგა-ათა) — „სპარტაკი“

(ორჯონიკიძე) 1:0 (1:0)

ალგათელ ფეხბურთელებს არსებითად განადგებული ჰქონდათ თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე მონაწილეობა და, ამდენად, შეეძლოთ გარკვეული შედეგით მიეცათ საკუთარი თავისთვის, მაგრამ პირველივე წუთებიდან ცხადი შეიქნა, რომ ისინი სრულიად არ იყვნენ საამისოდ

განწყობილი. იგივე შეიძლება ითქვას ორჯონიკიძელთა გუნდზეც, რომელიც აგრეთვე შეუპოვარად, მედგრად წარმოართვდა ბრძოლას. თამაში საინტერესო, ცოცხალ ტემპში მიმდინარეობდა.

ანგარიშის გახანის შესაძლებლობა „ქაირათს“ მიეცა ადრევე, როცა შტრომბერგერის მიერ მარცხენა ფლანგიდან დარტყმული ბურთი სპარტაკელთა ძელს მოხვდა. 37-ე წუთზე აღმართელები კვლავ განაგრძობდნენ იერიშს, გლადილინის დარტყმისას უხეშად შეცდა მეკარე ოლეინიკი, მას ხელიდან გაუვარდა ბურთი, რომელსაც დროზე მიუსწრო ფეხლევიანიძემ — 1:0.

არანაკლებ დაძაბული იყო ბრძოლა შესვენების შემდეგაც. „ქაირათმა“ ძლივს შეინარჩუნა გამარჯვება. რ. კორიძე.

ლენინური შაბათობის შესახებ

ახალი სიახველო სპორტული სეზონის შესახებ უკვე „ლოკომოტივის“ სტადიონზე რემონტი ვერ კიდევ შარშან დაიწყო, მაგრამ სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის რკინიგზის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციამ (უფროსი რ. კობლაძე) ტემპი საგრძნობლად დააჩქარა — უკანასკნელ პერიოდში აქ ყოველდღიურად 150-მდე კაცი მუშაობდა ცენტრალური ტრიბუნების, გასახდელების, საშაფეების, სასტუმროს შეკეთებაზე. მთლიანად იცვლება ბაზის განათება. თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ბევრი რამ გაკეთდა.

მაგრამ გასაკეთებელიც დარჩა. ამიტომაც ოსტატები დროს ინტენსიურად იყენებენ. როგორც სტადიონის დირექტორმა ი. მაისურაძემ გვაცნობა, აქ მალე შეიქცელება თეატრის აგიტაციის სამუშაოებანი, განახლება რეკონსტრუქციის, მშენებლის, მშენებლის ცხრილები. 19 აპრილს კი, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ლენინურ შაბათობაზე გამოვა, სტადიონის თანამშრომელთა მთელი კოლექტივი, როგორც ერთი კაცი, აქტიურ მონაწილეობას შეიღობს დარჩენილი სამუშაოების დაჩქარებაში, ტერიტორიის მოწესრიგებაში.



სურათზე: სტადიონის რემონტის სამუშაოებზე.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

„ლელო“ მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენცია

გეგმიური

გეგმიური

„ლელო“ მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენციის გამოცხადებიდან თითქმის თვე მიიწურა. ოთხი კვირის მანძილზე რედაქციამ თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, რუსთავიდან, ჭიათურისა და მახარაზღვიდან, დუშეთიდან, ზესტაფონიდან, რეაპუბლიკის სხვა ქალაქიდან, რაიონიდან ასამდე წერილი მიიღო. მათ ავტორებს მადლობას მოგახსენებთ.

ზოგიერთ წერილს ვაქვეყნებთ, მაგრამ ყველას დაბეჭდვა შეუძლებელია, ამიტომაც შევეცადეთ ამ მიმოხილვაში ზოგიერთი მკითხველის წერილის ამონაწერი მოგვეყვანა, მსგავსი მოსაზრებანი, სურვილები გაგვეერთიანებინა.

ჩვენი დაუსწრებელი კონფერენციის მონაწილეთა შორის ბევრი ქალია. მათი უმეტესობა (გურჯაანელი მოსწავლე ლარისა უტიაშვილი, მაიდანელი აბაშის რ-ნი) მოსწავლე მანანა მჭიაძე. მზია უტლება კურსებიდან (ტყუბული), თბილისელი ნინო ვერ-

ხვიაშვილი და სხვები) ფეხბურთზე წერს. უტიაშვილი მოითხოვს ვებეჭდოთ რაც შეიძლება მეტი ინტერვიუ გამოჩენილ სპორტმწიფეებთან; უტლებას მიზანშეწონილად მიიჩნია ჩამოსული გუნდების მწვრთნელების წამყვანი სპორტმწიფეების ინტერვიუებთან მა-

ამკლავებს, ირჩევს ინიციალებს „მ. მ.“-ს ამოფაროს, მაგრამ სათქმელს მაინც ამბობს. მას მიიჩნია, რომ „ლელო“ ფორმირებული პერიოდულად უნდა გაიზარდოს, რომ მკითხველს (ამას სხვებიც მოითხოვენ) მეტი ინფორმაცია მიაწოდოს, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოთ სახეო-

რგავის წერილები აღზრდას თემაზე და ჰილარაჟზე. ისინი, ეტყობა თვითმუცელ ფრაზას ასევე ზომიერად. ეს ძალიან კარგია“ და თავის წინადადებებსაც გვთავაზობს, რომლებიც მისი აზრით წერილებს უფრო საინტერესოს, სრულყოფილს გახდის. „წერილებს,

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელი მ. ბიძინაშვილი სპორტოვლის შემოვიღოთ სპორტიკა „სპორტის ვეტერანები“ და მისი საშუალებით გავაცნოთ მკითხველს „საბჭოთა სპორტის ამავდარნი, რომლებმაც რესპუბლიკის სახელი ქვეყნის საზღვრებს იქით გაიტანეს“.

ასეთია დაახლოებით იმ წერილების შინაარსი, რომლებიც 28 თებერვლამდე „ლელო“ მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენციის მონაწილეებმა გამოგვიგზავნეს.

კონფერენცია ამით არ დამთავრებულა, იგი 1 აპრილამდე გრძელდება და ვიმედოვნებთ, ამ ღონისძიებაში ახალი ავტორები ჩაებმებიან. სასურველია ავტორებმა თავიანთ მოსაზრებებთან, სურვილებთან, წინადადებებთან ერთად შევავრცუბინონ თავიანთი პროფესია.

ველით თქვენს წერილებს, ამხანაგებო!

რას გვირჩევენ მკითხველები

თი ფორტობებიც ჩვეყნდებოდეს. „თქვენი გაზეთის მკითხველის აზრი გაინტერესებთ, მეც ხომ ერთი იმათგანი ვარ?“ — გვეწერს ვერხვიანიშვილი და გვთავაზობს წინადადებებს, რომლებიც მისი აზრით გაზეთს კიდევ უფრო საინტერესოს გახდის.

„გაზეთი გვიზიდავს თემატიკით, საინტერესო, საქმიანი, შინაარსიანია“. ამ სიტყვების ავტორი საკუთარ პიროვნებას არ

ბეებს, რომლებიც ჩვენში არ არის ან სუსტად არის დანერგოლი; ხშირად მოუფიქრობთ პროფესიონალ და მოყვარულ სპორტმწიფეებზე, მათ პირად ცხოვრებაზე; არც სპორტული მოთხრობები და ნოველები დაფიქსიციო; არც იმით დაშავდებოდა რამე თუ გაზეთი სპორტულ თემაზე ფორტობებს გამაოცებდებოდა... თბილისელ მ. ეპიტაშვილს მოსწონს ა. ციხაძისა და თ. გი-

შეკიბრებათა ანგარიშებს უნდა ჰყავდეს 2 ავტორი — ქურნალი და სპეციალისტი“. „ყველა იცის, რომ წერის სიმძიმე ქურნალისტი მხრებზე გადავიდეს, მაგრამ ქართული წერილი უფრო ობიექტური იქნება“. გაზეთისადმი პრეტენზიაც აქვს: „რედაქციამ ლექსიკონიდან ამოშლის სიტყვა „დასაყრდა“ (II ადგილს „დასაყრდა“), მაგრამ რატომ არ აბაბუთებს.

გოლოვდა უნდა მიყოლა

იმ წერილის წაკითხვის შემდეგ, რომელიც მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენციისაკენ მოგვიწოდებდა, საქალაქო ბიბლიოთეკაში გულმოდგინედ გადავთვალიერე „ლელო“ მარშანდელი კომპლექტი. მინდოდა ჩემი მოსაზრებანი და სურვილები უფრო დასაბუთებულად ყოფილიყო. როცა კაცი ცალკეულ ნომერს კითხულობს, შეიძლება ვერც შეამჩნიოს ის კარგი თუ უკარგი, რაც გაზეთს ახასიათებს, მთლიანობაში კი ეს უფრო თვალსაჩინო ჩანს.

გასული წლის ნომრებიდან ჩემი ყურადღება ბევრ კარგთან ერთად მიიპყრო იმან, რომ „ლელო“ გვერდები დათმობს რაიონული გაზეთების რედაქციების მიერ მომზადებულ მასალებს. ეს უდავოდ კარგი საქმე იყო. სამწუხაროდ, ასეთი 6 თუ 7 გაზეთი გამოიყვანეთ თქვენს ფურცლებზე. ეს იყო და ეს. ამ შესანიშნავ წამოწყებას მივიწყება კი არა, უფრო გაღრმავება უნდოდა, მათ უმეტეს, რომ პერიოდულად კორესპონდენტები არც ისე განვითარებულა „ლელო“. უფრო მეტი, თუ წინა წლებში ცოტა. მაგრამ მაინც იბეჭდებოდა ადგილებიდან შემოსული წერილები, კორესპონდენტები, ინფორმაციები, მარშანდელი მინიმუმადე დავიდა. ზოგჯერ კვირა ისე მიიღოდა, რომ ხუთ ნომერში პერიოდულიად ადგილობრივი კორესპონდენტის ერთ მასალასაც ვერ შევხვდებოდით. ესეცაა გაზეთის გეოგრაფიის შეზღუდულობის მიზეზი.

კიდევ ერთი, რაც შეგამჩნივდა რომლის გამოსწორება თქვენე გამოგადგებათ. გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილებს რედაქცია ბოლომდე ყოველთვის არ მიპყვება. შეშველა ფაქტები, როცა ვიღაც ვაკრიტიკებთ, ამ კრიტიკაზე აღმასკომისა თუ რაიკომის პასუხებიც იყო, მაგრამ მკითხველისთვის გაურკვეველი რჩება, რა პრაქტიკული შედეგი მოჰყვა გაზეთის კრიტიკულ გამოცხადებას — გამოსწორდა თუ არა ხარვეზები. ნურც კომპიუტერის დაივიწყებთ. „ლელოში“ არ ჩანს კომპიუტერის როლი ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობის აღმავლობის საქმეში.

დასასრულს. ურიგო არ იქნებოდა თუ რედაქციის კოლექტივი დიდ ქალაქებში ან საწარმოებში, სასწავლებლებში მაინც გამოართავდა მკითხველთა დასწრებულ კონფერენციებს. იქაც ბევრ კარგს გეტყვიან, ამ გაზეთის მოყვრები, პირში ზრახვას არ მოერიდებიან.

გ. ბაჭალიძე.

საზოგადოების ფართო ფენებში „ლელო“ პოპულარობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს პოპულარობა კიდევ უფრო იზრდება ახლა, როცა გაზეთის რედაქციამ გადაწყვიტა მის ძირითად მიზმამარბელსაც მიუდგოს ყური — შემდგომ მუშაობაში გათვალისწინოს მკითხველის სურვილები და მოსაზრებანი. დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენცია გარკვეულ როლს ითამაშებს რედაქციის საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებაში, ამიტომაც ხალხს ით ვებმეები ამ ღონისძიებაში და რამდენიმე მოსაზრება მინდა გამოვთქვა:

თუ კაცმა რაღაცა მიზეზით ვერ შესძლო „ლელოს“ გამოწერა, წასულია მისი საქმე — ჯიხურშიც ყოველთვის როდი შეიძლება მისი მოგვა, განსაკუთრებით ცოტა თუ დაგვიანდა. სასურველია გაზეთის ტირაჟის გაზრდა.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადამ თვალნათლივ დაგვანახა საქართველოში ჰიდაო-

ბის ჩავარდნა (ამას მხოლოდ კლასიკოსებზე ვერ ვიტყვით). ეს დროებითი მარცხია. საქართველოს ფიზიკულტურის კომიტეტი, ჰიდაობის სპეციალისტები ენერგის არ დაიშურებენ, რომ

ვასსავლოთ შრომა, ბრძოლა, გამარჯვება

დიდება დაღებონან ქართულ საფალავნო სკოლას, რომელიც შექმნეს დ. ხიხამაძემ, კ. გლანდელმა, კ. მისურაძემ, ნ. ესტეხიამ, მ. ცალქილაძემ, დ. ციმაკურიძემ, გ. კარტოზიამ, ვ. ბალაშვილმა... ასეა ათი ტრადიციების გაგრძელება საქირო. გაზეთმა ამ მხრივ გარკვეული

ნაბიჯი გადადგა, როცა თავის ფურცლებზე სათანადო ადგილი დაუთმო ქართული ჰიდაობის (ის ხომ ყველა ჰიდაობის დედა) აღორძინებისთვის ბრძოლას. მაგრამ უფრო მეტია საქირო, მეტი უნდა იწერებოდეს ფალავნებზე. ქართველი მკითხველი მათ ყურმოყვრით კი არ უნდა იცნობდეს, არამედ დეტალურად, მათს ყოველდღიურ საქმიანობაში. და, ყველა იცოდეს, რომ ისინი ხალხის ჭარბედაც პატრიოტებად, ვაჟაკებად რჩებიან.

სასურველი იქნებოდა, შემდგომში ხშირად იყოს სტატიები, რომლებიც ასახვენ ხალხის დილისტატიების ყოველდღიურ თუ სპორტული ცხოვრების ეპიზოდებს, ისინი ახლად დამწყები სპორტმწიფეებისთვის საუკეთესო მაგალითად უნდა იქცნენ. მათი ცხოვრება, ბრძოლების ასახვანორჩ მოჭიდავეს შრომის, ბრძოლის, გამარჯვების სურვილს აღუძრავს.

ჯ. მათიაშვილი.

რუსთავი.

როგორები არიან უბურთოდ!

სინაზულით შეგვხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ „ლელო“ მკითხველებს, სპორტის გულშემატკივრებს მოგვეცა საშუალება უფრო თამამად, სახალხოდ გამოგვეთქვა ჩვენი აზრი, შთაბეჭდილებები, სურვილები და გვივარს კიდევაც, ვინაიდან იგი ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს.

„ლელო“ ყოველთვის მიმზიდველი, საინტერესოა, მაგრამ უფრო უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამისთვის ბევრი წინაპირობა და ყველა ჩვენგანს იგი თავისებურად ესმის, მე კი ეს ასე მესახება:

გაზეთი უფრო მეტს უნდა მოგვითხროდეს ჩვენი გამოჩენილი სპორტმწიფეების — მომკმედი თუ ვეტერანების შესახებ, „დინამოს“ ფეხბურთელებსა და კალათბურთელებზე, მოჭიდავე ქალებზე, მძლეოსნებზე, მშვილდოსნებზე... რომლებიცაა ვაჟაყფაძე და მომავალში მათი წარმატებებით კიდევ უფრო ვიამაყებთ. მე (და ალბათ, სხვებიც) მუდამ სინაზულით გვხვდები საქართველოს სპორტმწიფეთა მიღწევებსა და განვიცდი მათ მარცხს, მაგრამ ყველაზე უფრო მაღალვებს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გამოსვლები. 1976 წლიდან გამარჯვდა ჩვენი ბიჭების წარმატებები, ამ წარმატებების ავტორთა შესახებ კი ბევრი არაფერი ვიცით, თუ როგორ ცხოვრობენ საფეხბურთო მინდობის გარეშე. ურიგო არ იქნებოდა, თუ რედაქცია ჩემისთანების ან სურვილსაც გაითვალისწინებდა შემდგომ საქმიანობაში და რესპუბლიკის საუკეთესო სპორტმწიფეს დროდარდო მათს ყოველდღიურობაში გაგვაცნობდა.

ნანა ჰეიშვილი.

ქიათურა.

მოხარდებზე ზრუნვით

ზიკური წრთობისთვის დროს ვერ ნახულობდენ — ურჩევნიანთაიანი პატარები ყველაფერზე (მუსიკა, უცხო ენა, ცეკვა) ატარონ, გარდა სპორტისა. ასეთ მშობლებს გაზეთმა უნდა გაუშვარს, რომ უპრინციპობით

ამოკლებდენ შვილების სიცოცხლეს. მართალია, ამ საკითხს გაზეთმა რამდენიმე წერილი მიუძღვნა, მაგრამ მსგავსი მასალები უფრო ხშირად უნდა იბეჭდებოდეს. ქიათურა.

ზ. ხვადელიძე.

ინტერვიუ გაზეთის საქმიანობაში

რბ სახეობებს „ლელო“ ფურცლებზე ცოტა ადგილი ეთმობა. მაგალითად ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატი ავიღოთ. მსოფლიოსა თუ ევროპის ტურნირებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

კვიც გვინტერესებს და გვეყავს ჩვენი გუნდები, რომლებსაც ვგულშემატკივრობთ (ჩემი საყვარელი გუნდია მოსკოვის „დინამო“). ვფიქრობ, საბჭოთა ქვეყანაში პოპულარულ სახეობებს გაზეთი ერთნაირად უნდა აქვეყნდეს ყურადღებას.

მოიგებდა თუ ტრადიციულ დაამკვიდრებდა დიდი შეკიბრებების წინ და შემდეგ (ყველა სახეობაში) მწვრთნელთა პროგნოზების, მათი მოსაზრებების გამოქვეყნებას თუნდაც ინტერვიუს სახით. მე ინტერვიუ გაზეთის საკმახად მიმანია.

მ. ჩხატარაშვილი.

შემოქმედი, მანაარაძის რაიონი.

მეც მინდა დავდო აბური

გვარად ამხელს ამ და მასობრივ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში არსებულ ხარვეზებს, ფიზიკულტურის კოლექტივების მუშაობის დადებითი გამოცდილების ამსახველი რამდენიმე მასალაც დაიბეჭდა. მართალია, ბოლო წლებში რესპუბლიკაში საგარეო ნობი ძეგრები მოხდა მასობრივ-ფიზიკულტურული და სპორტული საქმიანობის აღმავლობისთვის, მაგრამ პერიოდულად უნდა დაქალაქმეც ყველა სათანადოდ არ იგრძნობა ეს სიო. ბევრგან ჭერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება კოლექტივების, გუნდების, ბაზების, სპორტსაზოგადოებთა საბჭოების, ფიზიკულტურის რაიონული, საქალაქო კომიტეტების მუშაობა. „ლელოში“ კი კრიტიკულ, მამხილებელ მასალებს, რომლებიც სააშუააროზე გამოიჩენს ხარვეზებს და დასაჯის მათი გამოსწორების გზებს, იშვიათად ვხვდებით.

გვარად ამხელს ამ და მასობრივ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში არსებულ ხარვეზებს, ფიზიკულტურის კოლექტივების მუშაობის დადებითი გამოცდილების ამსახველი რამდენიმე მასალაც დაიბეჭდა. მართალია, ბოლო წლებში რესპუბლიკაში საგარეო ნობი ძეგრები მოხდა მასობრივ-ფიზიკულტურული და სპორტული საქმიანობის აღმავლობისთვის, მაგრამ პერიოდულად უნდა დაქალაქმეც ყველა სათანადოდ არ იგრძნობა ეს სიო. ბევრგან ჭერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება კოლექტივების, გუნდების, ბაზების, სპორტსაზოგადოებთა საბჭოების, ფიზიკულტურის რაიონული, საქალაქო კომიტეტების მუშაობა. „ლელოში“ კი კრიტიკულ, მამხილებელ მასალებს, რომლებიც სააშუააროზე გამოიჩენს ხარვეზებს და დასაჯის მათი გამოსწორების გზებს, იშვიათად ვხვდებით.

გვეჭირობს. გაზეთი მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს მასობრივ-ფიზიკულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას, ხშირად უნდა იბეჭდებოდეს მეთოდური წერილები საწარმოო ტანვარჯიშზე, გამაჯანსაღებელი ჭეჭეების საქმიანობაზე, ტურიტულ ლაშქრობებზე, თევზჭერასა და ნადირობაზე; „ლელოში“ უკმარია საწარმოების, მშენებლობების ფიზიკულტურული კოლექტივების ცხოვრების ამსახველი მასალები, მარშანდელი იშვიათობად იქცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, პროფტექსასწავლებლების, კოლექტივებზე მასალები.

გამიგონებდა, მაგრამ სპორტსაც მინდა შევეხო. ფეხბურთის არ უყვარს, მაგრამ „ლელო“ მარტო ფეხბურთის გაზეთი როლია. კი ბატონო, ყოველ ნომერში დაუთმეთ მას გვერდი, მაგრამ ნურც სპორტის ეროვნულ სახე-

ობებს დაივიწყებთ („ლელო“ მაინც არ გერქვას), ნურც კლასიკურს, ჰიდაობაზე, მძლეოსნობაზე, ველოსპორტზე, ჰიდაობას ზოგიერთ სახეობაზე, სროლაზე კიდევ ვხვდებით კვლავიციკლი მასალებს, მაგრამ რა დასაყავალისნობაში, თანამედროვე ხუთჭიღმა, წყალში ხტომამ, სხვა ჩამორჩენილმა სახეობებმა? გაზეთი სწორედ მათი ამოწვევისთვისაც უნდა იბრძოდეს!

„ლელო“ ყველასთვის საყვარელი გაზეთია და მისგან ჩვენ, მკითხველი მეტს მოვითხოვთ. რაც მე ვერ ვთქვი, ეჭვი არ მეპარება, მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენციის სხვა მონაწილენი იტყვიან და თუ რედაქცია ჩვენს შენიშვნებს თავის შემდგომ საქმიანობაში გაითვალისწინებს, გაზეთის პოპულარობა კიდევ უფრო მოიმატებს.

გ. კობახიძე.

ქუთაისი.

პალატა

ყაიმიტ დინაშვი

კუპრეინიკის წარმატება

პალატის ქალაქ ფელდენში სტარტი აიღო ჯაჭოთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურმა მატჩმა...

ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში დამთავრდა ტრადიციული, IX საერთაშორისო ტურნირი...

მოკლად

ჩატარდა „კოლმეურნის“ ზუგდიდის რაისაბჭოს მოქალაქეთა პირველობა...


შის კოლმეურნეობის ნაკრებმა საბჭოთა მეურნეობების პირველობაში სტარტზე 6 გუნდი გამოვიდა...

მალეოსნობა

უქლიარასთა გარეშე

თბილისის „განთადის“ მიწლეონობის სასახლეში გაიმართა დედაქალაქის საუწყებო პირად-გუნდური ზამთრის პირველობა...

მეტრზე თარგბენი — 9,4 და 16,0 შესაბამისად. ვაჟების 60 და 110 მეტრზე თარგბენში ფინშითან პირველი მიიჭრა ლ. ბლიაძე...




მეკარეების რიხვა

მის მოულოდნელ, მძლავრ ტორცნას გუნდი წაგებისგან ბეზრეკრ უხსნია მკვირცხლ ტექნიკურ და ზუსტ ალექსანდრე ანბლოგოვს...



და უყვარს მუსიკაც — თავისუფალ დროს ისმენს ჩანაწერებს. „შე მუსიკა ენერჯის მშატებს, ახალი ბრძოლებისთვის მამზადებს!“ იცის ხოლმე თქმა.

სურათებზე: ანბლოგოვი მშობლიურ სკოლას ეწვია, მის საუბარს გულმოდგინედ ისმენენ გეოგრაფიის მასწავლებელი ვ. ასლამაშოვა და უმცროსი თანასკოლელები...



შახშუბი

სსრ კავშირის თასზე

მომავალს ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების განვლილი ტურის შედეგები: I ზონა. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:0...

15 მარტს იწყება საქართველო 1980 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც გასტანს 30 ნოემბრამდე. გუნდს, რომელიც გათამაშებაში დაიკავებს I ადგილს...

ლისი, „გარეჯი“ (საგარეჯო), „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი), „განახლება“ (აღიანი), „გარისი“ (თეთრი წყარო), „მესხეთი“ (ახალციხე)...

კულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სქური“ (ვალენჯიხა). 19. „მზიური“ (გალი) — „ივერია“ (ხაშური)...

ნი), „განახლება“ (აღიანი) — „არმაზი“ (მცხეთა). 28. „არაგვი“ (დუშეთი) — „ალგეთი“ (მარნეული)...

რესპუბლიკის ჩემპიონატი იწყება

საქართველოს პირველობის მატჩებში ყოველ გუნდს მინდორზე უნდა ჰყავდეს 2 ახალგაზრდა ფეხბურთელი (დამატებული 1962-1963 წლებში) და მათი შეცვლა შეიძლება მხოლოდ იმავე ასაკის მოთამაშეებით.

საქართველოს ჩემპიონატის I ჯგუფში მონაწილეობენ: „მზიური“ (გალი), „მეშახტე“ (ტყიბული), „მერცხალი“ (მხარაძე)...

ლისტი“ (ბათუმი), „მექალაქე“ (ზუგდიდი), „გიგანტი“ (ლათურჯი), „დინამო“ (ქუთაისი)...

ხეთი“ (თელავი), „მეშახტე“ (ტყიბული), „მეტალურგი“ (ზესტაფონი). 29. „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სპარტაკი“ (ცხინვალი)...

28. „ტურისტი“ (ბათუმი) — „ხვამლი“ (ცაგერი), „ბახმარო“ (ჩოხატაური)...

ქართული

● ციგაობა

თაყაზ ქუარიატაშვილის „პარცხლი“

სპარსულმანა (დეპეშით). აქ დამთავრდა მოცეკვეთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი, III ტურის შეხვედრები, როგორც ცნობილია, ბაკურიატაშვილი თ. ქუარიატაშვილი ორი ტურის შემდეგ ერთადგილიანებით მებრძოლთა შორის II ადგილზე იმყოფებოდა. მან ეს პოზიცია ახლაც შეინარჩუნა და ქვეყნის ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა. აქამდე საქართველოს სპორტმწიფეებს ასეთი წარმატება არავის ჰქონია. ოქროს მედალი მიიღო რიგულმა ი. ეისახმა.

მ. ზამბახიძე, საკავშირო კატეგორიის მხაჩი.

● კალმსობა

ათიდან — შვიდი მსოფლიოსი

კოდოლსკი გაიმართა საბჭოთა კავშირის უძლიერესი ძალოსნების სამატჩო შეჯიბრება, რომლის მსვლელობისას დამყარდა 10 საკავშირო რეკორდი, მათგან შვიდი მსოფლიოს რეკორდი. ყველაზე დიდ წარმატებას მიიღო ირანის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, 18 წლის ი. სარქისიანი. 36 კგ წონის ათლეთა შეჯიბრებაში მან აკრძალა ორჯერ გადაამეტა მსოფლიო რეკორდს — ჯერ 153,5 კგ დაძლია შემდეგ — 155 კგ. მანვე ორჯერ ჯერ 270 კგ აჩვენა, შემდეგ — 272,5. ეს მაჩვენებლებიც მსოფლიო რეკორდებს აღემატება.

ამავე წონის კატეგორიაში მოსკოვის არმიელმა თ. კარინიძემ ატაკში საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა — 118,5.

ამავე ვარჯიშში ქვეყნის რეკორდმენი გახდა ქვემსუბუქი წონის ოლიმპიური ჩემპიონი ნ. კოლესნიკოვი — 128,5.

ატაკშივე მსოფლიო რეკორდი დამყარა მინსკელმა ლ. ტარანენკომ. 110 კგ-მდე წონის ათლეთებში მან 187,5 კგ აჩვენა. მაგრამ მალე მისი მიღწევა 0,5 კგ-ით დაამძიმა მალახოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. კლოკოვმა.

პირველი მძიმე წონის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. ზაიციკმა 238 კგ-ისი შეტანა აკრა და 0,5 კგ-ით გაუმჯობესა ბულგარელი ვ. ხრისტოვის აღრინდელი მსოფლიო მიღწევა.

● ბიატლონი

ქვეყნის ჩემპიონი პირველად

პირველი ჩემპიონი დამთავრდა ბიატლონისტთა საკავშირო პირველობა. 10 კილომეტრზე ასპარეზობაში ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი პირველად მოიპოვა ესტაფეტებში სამჭაის მსოფლიოს ჩემპიონმა ა. უშაკოვმა (ლენინგრადი) — 33.47. II ადგილზე გავიდა ახალგაზრდა მოსკოველი ა. ჯენუკოვი — 33.47. ლუიკა-პლესილია ოლიმპიადის მონაწილე ვ. ბარნაშოვი „ბრინჯაოთი“ დაქვემოდა — 34.08.

შემდეგ მოეწყო 4x7,5 კმ ესტაფეტა. „ლინამოს“ I ნაკრები (ტიუმენელები ა. მოროზოვი და ვ. ვედენსკი, მინსკელი ვ. აემიონოვი და ომსკელი ვ. ბარნაშოვი) უძლიერესი აღმოჩნდა — 1:44.57. მან 7 წამით ჩამორჩა საბჭოთა არმიის I კოლექტივი. „ლინამოს“ II გუნდი მეორე ადგილზე გავიდა — 1:46.37.

ბიატლონისტთა საერთო გუნდურ ჩათვლაში (სამი სახეობის ჩამო) საბჭოთა არმია ნაკრებმა 290 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიკავა.

● ბალანის კოეფი

გაუვილა უახვადრაჟი

საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებმა ბალანის კოეფიში მორიგი ამხანაგური საერთაშორიო მატჩი ინდოეთში ამ ქვეყნის ნაკრებთან რაში გამართა და დამარცხდა — 1:2.



სურათზე: მომენტი სსრ კავშირისა და ბოლანდის კოეფის ქალთა ამხანაგანდელი მატჩიდან. საქდის ფოტო.

● მკლემსობა

„პარკოს თასზე“

პარკოს მიდამოებში გაიმართა ყოველწლიური ტრადიციული მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატი კროსში „ეგრების თასზე“. ამჯერად უეჭობრე-

ბაში 30 ქვეყნის 400-მდე ათლეთი მონაწილეობდა.

ქალთა ასპარეზობა მესამედ მოგონორვეგიელმა გ. ვაიტკმა. მან 40 წამით ჩამოიტოვა საბჭოთა „ტრიო“ — ლენინგრადელი ი. ბონდარჩუკი, მოსკოველი ე. სიპატოვა და ჩეხოსლაველი გ. რომანოვა, რომლებმაც მომდევნო ადგილები ამ თანმიმდევრობით დაიკავეს.

ვაიკებში უძლიერესი იყო ამერიკელი კ. ვირჯინი. საბჭოთა აპორტსმენებიდან საუკეთესო გახლდათ ვილნიუსელი ა. ანტიპოვი. მან VI ადგილი მოიპოვა.

იუნორებში I ადგილზე გავიდა ევანელი ხ. ვარსია. ვ. გრიზინოვა (სსრკ) II ადგილი მოიპოვა.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყვნენ საბჭოთა კავშირის ქალთა და იუნორთა კოლექტივები.

● ციგურები

ოლიმპიური ჩემპიონის ნარეაბა

მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა და ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელმა, 24 წლის მოსკოველმა მოციგურავემ ნ. პეტრუსიოვამ მრავალჭიშკრი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა — 183,402 ქულა მოაგროვა. იგი უძლიერესი იყო 3000 მეტრზე (4.51.95) და 500 მეტრზე (43.7) რბოლაში.

„ვერცხლი“ ერგო თ. პლეშკოვას (იაროსლავლი) — 186,747. „ბრინჯაო“ — ლ. კისელიოვას (სვერდლოვსკი) — 187,037.

● თხილაშურები

ლაკვის ტრადიციული

ფინეთის ამ ქალაქი მიდამოებში გაიმართა მოთხილაშურთა „ლაკვის ტრადიციული“ საერთაშორისო შეჯიბრება. ვაჟთა შორის 15 კილომეტრზე რბოლაში ა. ზავილოვა (საბჭოთა კავშირი) ზუტად 4 წამით ჩამოიტოვა ნორვეგიელი ლ.-ვ. ერიქსენი და პირველობა მოიგო. III ადგილზე გავიდა გამარჯვებულის თანაგუნდელი ს. საველიევი.

● ტრამპლინიდან

ბტომბ გუნდურ ჩათვლაში

სპარსულმანაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის „მგინავ მოთხილაშურთა“ გუნდური ჩემპიონატი. ყველას აჯობა რსფარ-ს I ნაკრებმა. 70-მეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრებაში ამ კოლექტივმა 1010,8 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მოსკოვის I (923,5 ქულა) და ლენინგრადის I (920,8) გუნდები.

ნიმ გეორგი ტურია

თხილისში, გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სპორტსკოლის დარბაზში დამთავრდა მრავალჭიშკრი საქართველოს ჩემპიონატი პირველი ტურის შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში, რომელიც გერმანიის ფაშინზე საბჭოთა არმიის გამარჯვების 35-ე წლისთავს მიეძღვნა. მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, „განთიადის“, „დინამოს“, „შრომითი რეზერვების“, „ლოკომოტივის“, ასკ-ს გუნდები. ტურირზე გამოვლენილი 12-12 საუკეთესო სპორტსმენი აპრილში ჩემპიონატის მეორე ეტაპში იასპარეზებს და საპრიზო ადგილების მფლობელთა ვინაობაც მან გამარჯვება.

დამთავრებულმა ასპარეზობამ ოსტატთა შორის დააწინაურა დინამოელი, საერთაშორისო კლასის ოსტატი მ. თათარაძე. პირველთაში მან ბიჭებში მოწონება ხვდა „ლოკომოტივის“ გუნდის წევრს, 13 წლის ვ. გოგოლაძეს, რომელიც ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრების კანდიდატია.

გუნდურ ტურირში გოგონებში და ბიჭებში დაწინაურდნენ განათლების სამმართველოს „განთიადის“ და „დინამოს“ კოლექტივები.

სურათზე: მ. თათარაძე ტაიფე ვარჯიშობს; ქვევით — ვ. გოგოლაძე ორძელზე ასპარეზობისას.

ა. კოტორაშვილის ტექსტი და ფოტოები.



ზაბათს, 8 მარტს გამართული „სპორტლოტოს“ მე-10 ტირაჟების შედეგები ასეთია:

- „სპორტლოტო 6-49“-დან: პირველი: 3, 9, 12, 18, 30, 49. შედეგათიანი ბურთულა — 36. მეორე: 10, 13, 22, 27, 45, 49. შედეგათიანი ბურთულა — 46.
- „სპორტლოტო 5-38“-დან: პირველი: 12, 14, 22, 26, 31. მეორე: 2, 10, 15, 30, 33. (საქდისი).

ასახ მოხდარა... მოკრივე დიასი

რინგი მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცთა საუფლოა. მაგრამ მონაწილად ისიც, რომ ამ ასპარეზზე ქალი გამოჩენილა.

ძველდროინდელი ინგლისის ცხელბრძენი გაყვილებულ ფურცლებზე ვახსოვობთ ერთ ასეთ ცნობას:

1805 წელს, ინგლისში, ვიკემურისა და ჯონსონის ბრძოლის დროს მოხდა საოცარი შემთხვევა. მატჩის მე-16 წუთზე ვიკემურმა ნოკაუტი იწვნია. გამარჯვებულმა ჯონსონს უნდა დასრულებოდა, მაგრამ ვიკემურის სეკუნდანტი მსაჯის გამტყუნება იწყო — არასწორად სჯიდითო. თანაც ყველას გასაკვირად ქალურად გაჰკიოდა. ერთი ჩენტლმენი ავიდა რინგზე, რათა იქიდან გაეყვანა თავმობებურებელი სეკუნდანტი. უცბად სეკუნდანტი დაუპატიებელ სტუმარს ისეთ ძლიერ დარტყმა აგვმა, რომ მირს გაშოტა. ჩენტლმენი წამოდგა, მაგრამ იგი კვლავ დასცეს ძირს. მესამედაც მოუწია მშვიდობის მაძიებელს იატაკზე გაგონება და მხოლოდ ამის შემდეგ დათმო ასპარეზი. მას შემდეგ სიცილით იხიციებოდნენ, მაგრამ მხიარულდებდნენ ყოველგვარ სახლარს გადაჰარბა, როცა ყველას გასაკვირად ეს სეკუნდანტი ვიკემურის ცოლი გამოდგა.

პოლონურ შურნალ „პშია-ზინიან“ თარგმან ა. გერ-შტენლიტმა.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

სპორტსმენი, მწვრთნელი, მეცნიერი

ვლადიმერ დიაკოვის სპორტული ბიოგრაფია 1922 წლიდან იწყება. 20-30-იან წლებში იგი 9-ჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი და 13-ჯერ შეიტანა შესწორება საკავშირო რეკორდების ცხრილში ამჟამინდელი სტამბოში. ქოკით ხტომასა და 110 მეტრზე თარგმნენში.

აქტიური სპორტთან ერთად იგი მძლეოსნობის ტექნიკის ანალიზშია გაიტაცა. ის, რაც მას დააინტერესებდა, როგორც სპორტსმენის ინტერესებდა, მისი ცხოვრებისეული საქმე გახდა და მთელი თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა მიუძღვნა.

დიაკოვის სახელთანაა დაკავშირებული სიმალეზე ხტომის საბჭოთა სკოლის გამარჯვებები. ეს მან მოახზადა მეტაბოლის ოლიმპიური თამაშებისთვის ი. კაშკაროვი. იგი საბჭოთა სიმალეზე მტკობელებიდან პირველი იყო, რომელიც ოლიმპი-

ური მედლით დაბრუნდა სამშობლოში. მისმა მეორე „აღსაზრდელმა“ ვ. ბრუმელმა ვერცხლის მედალი დაისაკუთრა რომში (ჩემპიონი გახდა ვ. დიაკოვის აღზრდილი რ. შვალაძე). საბჭოთა ოსტატებმა მამინ პირველად აჯობეს ამერიკელებს — სიმალეზე ხტომაში 11-გზის გამარჯვებულებს.

1964 წლის 24 ოქტომბერს, ტოკოს ოლიმპიურ თამაშებზე, კოკისპირულ წვიმაში სამსაათიანი დრამატული ორთაბრძოლის შემდეგ, საპატიო ვერცხლებს უშაბლეს საფეხურზე ავიდა ვ. ბრუმელი, რომელიც მიუწვდომელი აღმოჩნდა მეტოქეთათვის და რომელმაც 6-ჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი.

როცა ტრავმამ ბრუმელი დიდ სპორტს ჩამოაცილა (ავარიის შემდეგ ფეხის რამდენიმე ოპერაცია გაიკეთა. 4 წლის შემდეგ სტალიონს დაუბრუნდა და 207

სმ-ზე გადახტა). დადგა „მოუსავლიანი“ წლები. მექსიკოს ოლიმპიადიდან მოყოლებული, სიმალეზე მტკობელთა შორის ფოთბურთის სტილით ხტომა გაიმეტა.

და აი, გამობრწყინდა ვ. იაშჩენკოს დიდი ნიჭი. მწვრთნელმა ვ. დიაკოვმა იგი 1976 წელს ლოგოში ნახა და თქვა: „მტკობელობით იგი ბრუმელს სჯობს, ამასთან მას მოძრაობის შესანიშნავი კოორდინაცია აქვს. მისი ნახტობები მსუბუქი და გრაციოზი საეაა. იგი მალე მსოფლიოში უძლიერესი იქნება“.

ეს სიტყვები გამართლდა 1977 წლის ივლისში, როცა რიჩმონდში (აშშ) იაშჩენკოს მიერ ნახტობზე შედეგი ჩაიწერა იუნორთა მსოფლიო რეკორდებს ცხრილში — 233 სმ. ეს იყო გადავლებით ხტომის ახალი გამარჯვება. ვ. დიაკოვი ხომ გადავლებით ხტომის ტექნიკის დარ-

გში უდიდეს ავტორიტეტად ითვლება. სპეციალისტებმა შეამჩნიეს, რომ იაშჩენკო ბრუმელისგან განსხვავებულად ხტება. უფრო სწრაფად გადააქვს ტანი თამასაზე, ძირს ეყვება არა მტრით, არამედ თავით, რაც ჩაყვირების შთაბეჭდილებას ტოვებს. საბოლოოდ უფრო ეკონომიურია და საუკეთესო შედეგებს იძლევა.

სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, პედაგოგიურ მეცნიერების დოქტორს პროფესორ ვლადიმერ დიაკოვს 75 წელი შეუსრულდა, მაგრამ იგი კვლავინდებურად სავარჯიშო დარბაზებსა და სტადიონებზე ახალგაზრდა სპორტსმენებს გადასცემს უნიკალურ ცოდნასა და უზარმაზარ გამოცდილებას.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 99-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 99-97-52; განყოფილებები: ფუნქციონის — 99-81-71, 99-97-56; მსახურის ფიზკულტურული მუშაობის — 99-97-55; სპორტის პროპაგანდის — 99-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 99-97-53; ჰადრის — 99-97-26; სამხატვრო — 99-97-52; წერილების — 99-97-54; კორექტორები — 99-97-49; გამოშვები — 99-98-81; ფოტოლაბორატორია — 99-97-58; მემანქანები — 99-97-57.